№ 136. 14 ივლისი, ხუთშაბათი. 1866—1883 14 ივლისი, ხუთშაბათი. № 136.

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე ოთ. მუხრან ბატონის სახლში ეკლუბის ქვემოდ.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ბიბლიოთეკა
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია გერ დაუბ უნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ"

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

პეტერბურღი, 12 ივლისს. გაზეთები გვატყობინებენ, რომ მომავალ შემოდგომაზედ კიდევ მოემატება ზოგიერთს უცხო ქვეყნებიდამ შემოსატან საქონელს ფაბრიკანტების თხოვნით.

კაირი, მოვიდა ხედივი, რომელიც ხალხმა ალტაცებით მიიღო. დაარსდა სანიტარელი კომისია, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ინგლისელებიც. ზოგიერთი სახლებიდამ, სადაც ხოლერა უფრო გაძლიერებული იყო, დგმურები გამოიყვანეს და სახლებს ცეცხლი წაუკიდეს.

ლონდონი, ავგანის ემირი ამას იქით ყოველს წელს მიიღებს 120,000 გირვანქა სტერლინგს ინგლისის მართებლობისაგან.

გლადსტონმა გამოაცხადა ქვემო პალატაში, რომ მართებლობამ გადაწყვიტა ალარ დაეკითხოს პარლამენტს ლესუსთან შეკრული პირობის დამტკიცებას.

კაირი, ამ უკანასკნელ დღეებში ხოლერისგან მოკვდა აქ 463 კაცი. ინგლისის ჯარებშიაც ვრცელდება ხოლერა.

თბილისი, 13 იულისს.

დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ კორესპონდენციას წინამძღვარიანთკარიდამ, რომელშიაც განსაკუთრებით ლაპარაკი იმ სამეურნეო სკოლაზედ, რომელსაც ბ. წინამძღვრიშვილი ჰხსნის თავის მამულში. კორესპონდენციის ავტორი აღტაცებით ლაპარაკობს ამ სკოლაზედ. მითონ ჩვენც რამდენიმე საგალობელი ვუძღვენით ამ სკოლას, მაგრამ მარტო ცარიელა აღტაცებით და «ოსანნა მაღალთა შინას» გალობით საქმე არ გარიგდება; მეტი მოფიქრება და წინდახედულობაა საჭირო ყველა საქმის კეთილი ბოლოსთვის. თვით სკოლის დამაარსებელს ეს კარგად ესმის და იმიტომ ყველას სთხოვს: დარიგება, რჩევა და შენიშვნა მომეცით, რომ ყველაფერი წინადვე განსაზღვრული და მოაზრებული იყოსო. ვსარგებლობთ ამ შემთხვევით. აი ორიოდე შენიშვნა, ანუ გაფთხილება ბ. წინამძღვრიშვილს.

სკოლის წესდების ერთ პარაგრაფში სწერია (სახელდობრ რომელში ვერ ვიტყვი, რადგანაც წესდება ეხლა ხელში არა გვაქვს), რომ თუ სკოლის შეგირდების რიცხვი ნახევარი სომეხი იქნება, მაშინ მათთვის პირველ-დაწყებითი სწავლა დედა-ენაზედ, ე. ი. სომხურზედ, იქნებაო და სხვ. ჩვენ ვერ გაგვიგია, რა ალაგი აქვს ამ პარაგრაფს ბ. წინამძღვრიშვილის სკოლის წესდებაში? სკოლა არსდება იმისთანა ალაგას, სადაც მთელი რაიონი ძარტო ქართველობისაგან შესდგება. მართალია გარეშემო სოფლებში ორიოდე მოსახლე გლეხი მოიპოვება, სარწმუნოებით სომეხი, მაგრამ მათთვის დედა-ენად დიდი ხანია ქართული შეიქნა. რა არის დედა-ენა? —ამაზედ ბაასის ჩამოგდება მეტიც არის და უსარგებლოც ამ შემთხვევაში. დედა-ენა ის არის, რომელზედაც მშობელნი ლაპარაკობენ და რომელზედაც ბავშვი ენას ამოიდგაებს. შეიძლება ბ. წინამძღვარიშვილი ფიქრობდეს, რომ იმის სკოლაში თბილისელი და დუშელი ვაჭრები მიიყვანენ შვილებს; ამისთანა ფიქრს არაფერი საფუძველი არ აქვს, რადგანაც ბ. წინამძღვარიშვილი ჰხსნის სამეურნეო სკოლას და როგორც თითონაც კარგად უნდა იცოდეს ვაჭრების შვილები მეურნეობას არ ეწყობიან. ჩვენ გვეგონა, რომ ბ. წინამძღვარიშვილი განსაკუთრებით ქართულ სკოლას დააარსებდა, მაგრამ გამოდის ინტერნაციონალური. რასაკვირველია, შემწეობა ყველას უნდა ალმოუჩინოთ, მიუხედავად სარწმუნოებისა და ხალხოსნობისა, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ «შინ რომ ყმაწვილი ტიროდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო!» სომხებს იმდენი შეძლება აქვთ, რომ როდესაც მოინდომებენ და რამდენსაც მოინდომებენ, მაშინ და იმდენ სამეურნეო სკოლას გაჰხსნიან, და არც ერთი სომეხი, კერძო პირი, თუ გინდ საზოგადოება ამისთანა პარაგრაფს არ შეიტანს თავის წესდებაში...

გარდა ამისა, ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. წინამძღვარიშვილს თავის სკოლის ზედამხედველად კიდეც ამოურჩევია ვიღაც, . . . სკოლებში დამსახურებული, მირაქოვი. არ ვიცრა ეს საფრანგეთში შველა უნდა, მაგრამ არა ისეთი ბავშეური შველა, როგორც უცოლოებზედ ხარჯის გაწერაა. თუ საფრანგეთში ხალხი არა მრავლდება, ეს იმას უნდა დაბრალდეს, რომ ფრანცუზები წინ-დახედული ხალხია და არა ნდომულობენ ცოლ-შვილის ტვირთის აკიდებას, თუ კი შენახვის ღონე არა აქვთ; ამას გარდა ბევრი ფრანცუზი ცდილობს ერთს ან ორს შვილზე მეტი არ ეყოლოს ამავე მოსაზრებით. საქებურია, თუ არა, ეს მეტის მეტი წინ-დახედულობა, არ ვიცი, მხოლოდ ეს არის, რომ იმ წყობილებასა და სიმდიდრის განაწილებაში, როგორიც ეხლაა, ეს უმთავრესი საშუალებაა ღარიბ-ღატაკის და ბოგანო ხალხის გაუმრავლებლობისა; ჭკუა-მახვილს დეპუტატს სიმდიდრის უზომოდ განაწილებაზედ კი არ უფიქრია, და სხვა ღონე რომ ვერა უხმარია-რა, რაღაც ჯარიმა დაუნიშნავს იმ უცოლ-შვილოებისთვის, რომელნიც მარტო ხელად დარჩომას არჩევენ ცოლ-შვილის მოვალეობაში ჩადგომას.

მეორე ხალხის შემცირების მიზეზზედ უფრო არა ჰფიქრობენ ფრანცუზები და იმ საშინელის ომის შემდეგ, რომელმაც ამ ცამეტის წლის წინად რამდენიმე ასი ათასი მამულიშვილი საუკუნოდ გამოასალმა თავის სამშობლოს, მაინც თავისას არ იშლიან, და საცა არ გეგონოთ, იქა სწვდებიან ომის ასატეხად. ინგლისელები მეტად გაუჯავრებია ამ ფრანცუზების მეტიჩრობას და გაუჯავრებია, რასაკვირველია იმიტომ, რომ აქამდის ეს ხელობა კოლონიების დაპყრობა თითქმის მარტო ინგლისელებსა ჰქონდათ დასაკუთრებული და ეხლა კი სხვებიც შეეცილნენ. ერთი ინგლისელი გაზეთი გულის-წყრომით ამბობს: «საფრანგეთის კარების ჯუჯუტანაში შესცქერის ბისმარკს და როდესაც ის ზურგ შემოქცეულია, მაშინვე ძველებურად ეცემა ხოლმე იმ შორეულ ქვეყნებს, რომელნიც ჯერ არავის დაუპყრიაო.»

საკვირველია, ღმერთმან იცის, ნეტეცებს უფრო წინ-დახედულის ხალხის ხმა აქვთ გავარდნილი ფრანცუზებზედ, მაგრამ ჯიანჭველასავით კი მრავლდებიან და შინ რომ ალაგი ალარა აქვთ, ამერიკაში მიდიან დასასახლებლად. დიალ, საკვირველია, მაგრამ სწორედ ამერიკაში გადასახლებით აიხსნება ეს საკვირველება: ფრანცუზებს ისე უყვართ თავიანთი სამშობლო, რომ, თუ დიდი გაჭირებას საფრანგეთში შველა უნდა, მაგრამ

«დროების» ტელეგრამი 14 ივლისი.

სამზღვარს იქით.

ხარჯი უცოლოებზედ.—ჭკუა-მახვილი დეპუტატი.—ნამდვილი მიზეზი საფრანგეთში ხალხის გაუმრავლებლობისა.—ჩინელებისა და ირლანდიელების განძევება ამერიკიდამ. — ებრაელების საქმე გენგრაში.—ბავშვის წვალება.—ძველი ცრუ-მორწმუნეობა ხელმეორედ განახლებული.—ჩვენი და გერმანიელი სოფლის მასწავლებლები.—ჩინეთის ცვრომონიების ნიშნები.

ბევრ ნაირი ხარჯია ქვეყანაზედ: ხარჯი შემოსავალზედ, მიწაზედ, სულზედ, ხახლზედ, კარებზედ, ფანჯრებზედ, ცხენებზედ, ძაღლზედ, კაცზედ, მაგრამ იმისთანა ხარჯზე, რა ხარჯის გაწერაც განუზრახავს ერთს დეპუტატს საფრანგეთის წარმომადგენელთა პალატისას ჯერ ჩვენ არ გაგვიგონია და, ვგონებთ, არც მკითხველს გაეგონოს. ამ დეპუტატს წინადადება შეუტანია პალატაში, რომ ყოველს უცოლო კაცს დაედოს ხარჯი, — და ეს ხარჯი პატარა ხარჯი კი არ გეგონოთ, — წელიწადში თითოზე 1500 ფრანკამდე უნდა ავიდეს. ამას გარდა თუ ხუთის წლის განმავლობაში ცოლ-ქმარს შვილი არ ეყოლა, ვალდებულნი უნდა იყვნენ საგამზრდელო სახლიდამ ერთი ბავშვი აიყვანონ და თითონ გაზარდონ. ეს მახვილის ჭკუის ნაყოფი აზრი ხსენებულ დეპუტატს იმიტომ წარმოუთქვამს, რომ, როგორც ჩვენ ჩვენს გაზეთში ერთხელ კიდეც წარმოვთქვით, საფრანგეთის ხალხს წლითი წლამდე თუ არ აკლდება მცხოვრებთა რიცხვი, ბევრი არაფერი ემატება. და ეს გარემოება ძალიან აშინებს საფრანგეთის სახელმწიფო კაცებს. ახირებული საშუალება კი მოუგონიათ წამლად ამ სახელმწიფო კაცებს, თუ კი ზემოხსენებულ აზრის ავტორიც სახელმწიფო კაცების რიცხვში მოექცევა.

ხარჯი უცოლოებზედ ძალიან კაი საშუალებაა, მაგრამ ამ საშუალებას სხვა შესაბამი საშუალებაც უნდა მოჰვეს. ყოველს ცოლ-ქმარს შეიძლება ჯილდო მიეცეს ახალ-დაბადებულისათვის და ეს ჯილდო შეიძლება ერთი ორად მეტი იყოს, თუ შვილის ყოლას მოიაზრევებენ და სახელმწიფოს მამულის შვილს შეჰმატებენ!.. ჯერ, ვგონებთ, პალატას არ მიუდია შორს გამჭვრეტელის დეპუტატის აზრი, მაგრამ თუ მიიღო არაფერს რეკამენდაციას გაუწევს თავის ჭკუა-მახვილობას. მართალია, ხალხის შემცირება საფრანგეთში შველა უნდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნობთ, შეიძლება ბ. მარაქოვი ძალიან ღირსეული კაცი იყოს, მაგრამ ცოდვა გამჭლავნებული სჯობია,— თუ ბ. წინამძღვარი შვილმა მარაქოვები და პაპაჯანოვები დანიშნა თავის სკოლაში, მაშინვე ჩვენი საზოგადოება ზურგს შეაქცევს და მის კეთილი განძრახვით დაწყებულს სკოლას საზოგადოების გულ-გრილობა მოჰკლავს.

ახალი ამბები.

ბუშინ, საღამოს ექვსს საათზედ, ქალაქში შემოვიდა გრაფი ლორის-მელიქოვი და მაშინვე ქოჯორში წავიდა. სამხედრო პირთაგანი მიმგებებელთა რიცხვში შევნიშნეთ გენერალი ძიშმიშოვი სრულს საპარადო ფორმაში.

რაც გაზ. «შრომის» ცენზურა ქუთაისიდამ თბილისს გადმოიტანეს, მას აქეთ, რასაკვირველია, ძველი გახდა ქუთაისში გაზეთის გამოცემა, თუნდ საკვირაოც იყოს ეს გაზეთი.

ჩვენ სულით და გულით ვისურვებთ, რომ «შრომას» თავისი პატრონსნური შრომა დიდ ხანს გაეგრძელებინოს.

მართლა და აუტანელი სიცხეები დაიჭირა ეხლა თბილისში, ოთახში ტემპერატურა ადის 30° გრადუსზედ ზევით. დღეს დილით მზეზედ 40 გრადუსია.

ქუთაისიდამ გვწერენ: დიდი ფაცა-ფუცი შეექნათ აქაურ ჩინოვნიკობას. ამ ალიაქოთის მიზეზი არის ახალი სამხედრო გუბერნატორი ქუთაისის გუბერნიისა ბ. სპეკალოვი. დიდი იმედი აქვსთ მის გამჭრიახობაზე. ღმერთმაც ასე ჰქნას. ბურიის დამშვიდება და ზოგიერთი ბ. სპეკალოვის მოქმედება გვარწმუნებს ამ იმედების გამართლებას.

ქიდამვე გვწერენ: ამ თვის 10-ს სამეფო ბაღში გამართული იყო სეირნობა საჩუქრებით და შუშხუნებით ქუთაისის უფასო საქალო სასწავლებლის სასარგებლოდ. დიდი ხანია ჩვენ არ გვინახავს ასე რიგიანი სეირნობა. აქ არც ყველეფა ყოფილა და არც იერეში პრანჭია ქალბატონებისა. ყველანი თავისუფლად სუნთქამდენ. ქუჩულში არავინ იმალებოდა და თავის ჯიბის დაგვარ ყველამ თანაუკრძნო კეთილ საქმეს. ხალხი ბლომად დაესწრო. შემოსავალი საკმაოდ უნდა იყოს. ჩვენის აზრით წმინდა შემოსავალი სამას მანათზე ნაკლები არ იქმნება. მადლობის ღირსია ამ საქმის მოთავე ქალბატონი მ. რუბანისა, რომელიც არის ზედამხედველი უფასო საქალო სკოლისა და რომლის ხელშიაც, ეს დღემდე დავიწყებული სასწავლებელი დღითი-დღე წარმატებაში მიდის.

მოგეხსენებათ, რომ ქუთათურ ურიებს, თუმცა დიდი შეძლება აქვთ, მაგრამ ერთი სკოლაც არ აბადიათ და არც ჰფიქრობენ მის დაარსებას. არც საეკლო და საქალო გიმნაზიებში არ იზდებიან მათი შვილები. ამ ბოლოს დროს კი ქუთაისელ ურიებს სწავლის სურვილი აღსძრვიათ და საკუთარი სკოლის დაარსების მაგიერ, თავიანთი შვილები სომხების სკოლებში მიუცვიათ. ჩვენებური ურიების დედა-ენა კი ქართველია და როგორც ქართველებს ისე ეჭირვებათ მათ ამ ენის შესწავლა.

—

მასწორებთ გუშინდელ შეცდომას. ახალ ამბებში «Обзоръ»-ის შესახებ ნათქმია: «ბ. ნიკოლაძის კალამს ერთი სტრიქონიც არ აკლია». უნდა იყოს: «ბ. ნიკოლაძის კალამს ერთი სტრიქონიც არ ეკუთვნის».

სასოფლო-სამეურნეო სკოლა ს. წინამძღვრიანთ კარში.

წელიწადზედ მეტია რაც ლაპარაკი ისმის, რომ დუშეთის მაზრაში, სამეურნო და წერა-კითხვის სკოლა უნდა დაარსდეს ილია იესეს-ძეს წინამძღვრიანის თაოსნობით, მისივ მამულში. ეს სმები ბევრს უსიამოვნოდ მიახლდა, რადგანაც სშირად ჩვენებური საქმე ქაღალდს არ გადასცდება ხოლმე, მაგრამ დღეს ეჭვი აღარაფის უნდა ჰქონდეს, რომ მომავალ სექტემბრიდამ სკოლაში სწავლა დაიწყება. ამას გეამტკიცებს, როგორც თვით შენობის თითქმის სისრულეში მოყვანა, აგრეთვე ეკონომიურის მასალის თუ ნივთის დამზადება, რაც კი საჭირო იქნება სწავლის დროს.

ამ დღეებში მე კიყავ დუშეთის მაზრაში და ჩემდა სასიამოვნოდ მომისმენია ამ სკოლის ასალის შენობის ნასყიდ. სკოლა შენდება, როგორც ვსთქვით, ს. წინამძღვრიანთ კარში. უნდა ვსთქო, რომ თვითონ სოფელს, თითქმის ბუნებისაგან იყოს დანიშნული ამ საქმისთვის, ისეთი ადგილი უჭირავს. ეს სოფელი მახმადი, გინდა მოსეს დაბადება, არავინ არ გეტყვის მაინც, შენ ურჯულო ხარ, ჩვენს საზოგადოებაში ალაგი არა გაქვსო. ეს ხომ ასეა, მაგრამ უკანასკნელ დროს ებრაელების წინააღმდეგ ისე აღიჭურვა ხალხი, რომ თვით უპირველესი სახელმწიფო კაცებიც კი არ ინდობენ მათ და სახელმწიფოს მტრად რაცხვენ. მიზეზი ამისი ებრაელების გაჭრიახობაა და მათგან თითქმის მთელის ქვეყნის ვაჭრობაში მაგრად მუხლის მოკიდება. ე ეგეა მიზეზი, რომ ხან სად და ხან სად თავს ამოჰყოფს ხოლმე შუასაუკუნოებში გავრცელებული რწმუნება, რომ ებრაელები თავიანთ წესებისათვის ქრისტიანის სისხლსა საჭიროებენო, რამდენიმე ათსა და ოცს კაცს ბრალდებულთა სკამზედ ჩამოსხამენ ხოლმე და საზარელს ბრალსა სდებენ—ქრისტიანის ბავშვის დაკლვას და მის სისხლის ხმარებას. დიდი ხანი არ გასულა, რაც მთელს ქუთაისში, მთელს კავკასიაში და რუსეთის ქალაქებშიაც გავრცელდა ხმა პატარა ქალის სარა მოდებაძის ურიებისაგან დაკვლის თაობაზედ და განგებ პეტერბურღიდამ გამოწვეულმა ადვოკატმა ალექსანდროვმა იმერეთის ხალხს ნადირის ხალხის მსგავსი უწოდა ამ ცრუ-მორწმუნოებისათვის; და აი ეხლა ევროპაშიაც გამოჩენილა ესეთი ნადირის-მზგავსი ხალხი და იქაც ოც-და-ხუთი ებრაელი ბრალდებულთა სკამზედ დაუსხამთ.

შარშან, პირველს აპრილს, ვენგრიის პატარა დაბაში ტისა-ესლარში დაიკარგა თოთხმეტის წლის ქალი ესფირი და თუმცა დიდ-ხანს ეძებეს, მაგრამ ვერც მკვდარი იპოვნეს, ვერც ცოცხალი. პატარა ხანს უკან ხმა გავრცელდა, რომ ის ქალი ურიებმა აწვალესო. ოთხის წლის პატარა ურიამ აჩვენა, რომ ესფირი ურიებმა დაჰკლესო, მეც იქ ვიყავი, მამა-ჩემიც და ჩემი ცამეტის წლის ძმა—მორიც შორფიცაო. ბაიმართა გამოძიება. მოწმებათ იყვნენ ოთხისა და 13 წლის ბავშვები; შესანიშნავი ეს იყო, რომ პირველში ყველანი უარს ამბობდენ, მაგრამ რამდენიმე ხანი ჟანდარმების ხელში ყოფნის შემდეგ, მორიც შორფმა სრულებით შესცვალა თავისი ჩვენება და ყოველ სიტყვას ებრაელების წინააღმდეგ ამბობდა. ლაპარაკში ეტყობოდა, რომ ფრაზები დაესწავლებინათ და თუ შეაჩერებდენ, ისევ თავიდან უნდა მოჰყოლიყო. ამას გარდა, თუმცა ზოგიერთი ებრაელები გამოტყდენ და იკისრეს დანაშაული, მაგრამ სასამართლოში აჩვენეს, იმიტომ გამოვტყდით, რომ ციხეში გვაწვალებდენო და ძალათი გვართმევდენ ჩვენებასაო. რამდენიმე

რება არა, თავის დღეში არ მიანებებენ თავსა; ნემეცებს კი ამერიკაში გადასახლება ისე ადვილად მიაჩნიათ, როგორც მე და შენ, მკითხველო, ქალაქიდამ ქოჯორზე ასელა. მაგრამ ამ გადასახლებასაც ბოლო მოეღება, თუ ნემეცების მხრივ არა, ამერიკელების მხრივ მაინც. ამერიკა მართლა რომ მწველელ ფურად გაიხადა სხვა-და-სხვა უცხო-ხალხმა. ვინ გინდათ, რომ იქ არ მიდიოდეს: ნემეცები, ინგლისელები, ირლანდიელები, რუსები, ურიები, ჩინელები,—მეტადრე ჩინელები. ხომ მოგეხსენებათ რომ ჩინეთში შედარებით მცირე ადგილზედ აუარებელი ხალხი სცხოვრობს, და რაკი ამ შინ-გაჭირვებულმა ხალხმა ამერიკისკენ გზა გაიკვალა, მათს იქითკენ ლტოლვილებას სამზღვარი აღარა აქვს. ამას გარდა ჩინელი მუშა შრომის-მოყვარეც არის, მომჭირნეც, ყაირათიანიც, ასე რომ სხვას რომ ათი მაური მოუნდეს დღეში სახარჯოდ, ამას ხუთი მაური ჰყოფნის და, რასაკვირველია, ადგილობრივს მუშებს დიდს ცილობას გაუწევენ. ამერიკელი მუშები ამ გარემოება მეტად ააღელვა, ამერიკის კონგრესმაც ყურადღება მიაქცია და ეხლა ჩინეთიდამ გადასახლება ამერიკაში აკრძალულია. არამც თუ ჩინეთიდამ, ეხლა ირლანდიელებსაც უძნელებენ ამერიკაში მისვლას და უკანასკნელმა გაზეთებმა ამბავი მოგვიტანეს, რომ პრეზიდენტს არ მიუცია ნება ამერიკის ნაპირზედ გადაესხათ რამდენიმე უბინადრო და მშიერ-მწყურვალი ირლანდიელები და უკანვე დაუბრუნებიათ. ინგლისის მთავრობისათვის,—ჩვენ მაგათი თავი არა გვაქვსო.

მოგეხსენებათ, რომ მაშინის ქვაბი რომ არ გასკდეს, ორთქლის გამოსაშვები ხუფი აქვს გაკეთებული, რომელსაც «უშიშროების ხუფს» ეძახიან. ამ «უშიშროების ხუფობას» ევროპიათვის დღემდის ამერიკა ჩადიოდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ისიც ორთქლით გავსილა და ეხლა, არ ვიცით, იშოვის კიდევ სადმე გასავალს ეს საშიში ნივთიერება, თუ ისევ შინვე დატრიალდება და ისევაც დაზიანებულს კედლებს მილეწ-მოლეწ-ეს.

ხალხის გაჭირვებამ გამოიწვია აგრეთვე ევროპაში ის განხეთქილება, რომელიც ეხლა ებრაელებისა და ქრისტიანების შორის სუფევს. ვერ ვიტყვით, რომ ეს განხეთქილება სარწმუნოების ბრალი იყოს: დიდი ხანია, რაც საუკეთესო ნაწილი ევროპიელ საზოგადოებისა არავის სარწმუნოებას ყურადღებას არ აქცევს და ოღონდ რიგიანი მამულის-შვილი იყავი და გინდა ბრაჰმა იწამე, გინდა მახმადი, გინდა მოსეს დაბადება, არავინ არ გეტყვის მაინც, შენ ურჯულო ხარ, ჩვენს საზოგადოებაში ალაგი არა გაქვსო. ეს ხომ ასეა, მაგრამ უკანასკნელ დროს ებრაელების წინააღმდეგ ისე აღიჭურვა ხალხი, რომ თვით უპირველესი სახელმწიფო კაცებიც კი არ ინდობენ მათ და სახელმწიფოს მტრად რაცხვენ. მიზეზი ამისი ებრაელების გაჭრიახობაა და მათგან თითქმის მთელის ქვეყნის ვაჭრობაში მაგრად მუხლის მოკიდება. ე ეგეა მიზეზი, რომ ხან სად და ხან სად თავს ამოჰყოფს ხოლმე შუასაუკუნოებში გავრცელებული რწმუნება, რომ ებრაელები თავიანთ წესებისათვის ქრისტიანის სისხლსა საჭიროებენო, რამდენიმე ათსა და ოცს კაცს ბრალდებულთა სკამზედ ჩამოსხამენ ხოლმე და საზარელს ბრალსა სდებენ—ქრისტიანის ბავშვის დაკლვას და მის სისხლის ხმარებას. დიდი ხანი არ გასულა, რაც მთელს ქუთაისში, მთელს კავკასიაში და რუსეთის ქალაქებშიაც გავრცელდა ხმა პატარა ქალის სარა მოდებაძის ურიებისაგან დაკვლის თაობაზედ და განგებ პეტერბურღიდამ გამოწვეულმა ადვოკატმა ალექსანდროვმა იმერეთის ხალხს ნადირის ხალხის მსგავსი უწოდა ამ ცრუ-მორწმუნოებისათვის; და აი ეხლა ევროპაშიაც გამოჩენილა ესეთი ნადირის-მზგავსი ხალხი და იქაც ოც-და-ხუთი ებრაელი ბრალდებულთა სკამზედ დაუსხამთ.

შარშან, პირველს აპრილს, ვენგრიის პატარა დაბაში ტისა-ესლარში დაიკარგა თოთხმეტის წლის ქალი ესფირი და თუმცა დიდ-ხანს ეძებეს, მაგრამ ვერც მკვდარი იპოვნეს, ვერც ცოცხალი. პატარა ხანს უკან ხმა გავრცელდა, რომ ის ქალი ურიებმა აწვალესო. ოთხის წლის პატარა ურიამ აჩვენა, რომ ესფირი ურიებმა დაჰკლესო, მეც იქ ვიყავი, მამა-ჩემიც და ჩემი ცამეტის წლის ძმა—მორიც შორფიცაო. ბაიმართა გამოძიება. მოწმებათ იყვნენ ოთხისა და 13 წლის ბავშვები; შესანიშნავი ეს იყო, რომ პირველში ყველანი უარს ამბობდენ, მაგრამ რამდენიმე ხანი ჟანდარმების ხელში ყოფნის შემდეგ, მორიც შორფმა სრულებით შესცვალა თავისი ჩვენება და ყოველ სიტყვას ებრაელების წინააღმდეგ ამბობდა. ლაპარაკში ეტყობოდა, რომ ფრაზები დაესწავლებინათ და თუ შეაჩერებდენ, ისევ თავიდან უნდა მოჰყოლიყო. ამას გარდა, თუმცა ზოგიერთი ებრაელები გამოტყდენ და იკისრეს დანაშაული, მაგრამ სასამართლოში აჩვენეს, იმიტომ გამოვტყდით, რომ ციხეში გვაწვალებდენო და ძალათი გვართმევდენ ჩვენებასაო. რამდენიმე

თულიანია.ძირის სართული,რომელიც დანიშნულია სწავლისთვის, გათავებულია, მხოლოდ მთლად კი შენობა აგვისტოს ნახევარზედინ იქნება დასრულებული. შენობა სამს დიდ ოთახებად არის გაყოფილი; თითოში თამამად მოთავსდება 50 მეტი მოსწავლე. შუა ოთახი ჯერ ზალათ არის დატოვებული, მაგრამ შემდეგში თუ საჭირო იქნება, შეიძლება გაიყოს ორ სამეცადინო ოთახად. აქვე სკოლის გვერდით შენდება მშვენიერი თლილის ქის ეკლესია. სკოლისაკენ ასლოს არის დანიშნული, როგორც მღვდლის სახლისთვის საკმაო ადგილი, აგრეთვე სასულოსნოსთვის. ეს შენობებიც ერთი წლის განმავლობაში იქნებიან დასრულებულნი.

საზოგადოდ უნდა ვსთქვა, რომ სკოლა ყოველის ფრით მზად იქნება სეკტემბრისთვის და მოსწავლეებიც მგონი საკმაოდ ეყოლება, რადგანაც, ვისთანაც კი მოვიხდა ამ საგანზედ ლაპარაკი, ყველანი ერთგულებას და თანაგრძნობას უცხადებდნენ ამ საქმეს. თავი რომ მოუგრიგოთ ადგილობრივ კეთილშობილთ და გლეხების ნალაპარაკებთ ამ საგანზედ შემდეგის სიტყვებით შეგვიძლიან გამოვსთქოთ: «ნეტავი კი ეგრე იყოს და შეიძლებს როგორ არ მივცემთ. ოღონდ ჩვენს შვილებს ჩვენი გამოსადეგი სულობა და წიგნი ასწავლონ და თუნდ პირობით შეუკერებით, რომ ექვსი წლის ბადლად თორმეტი წელიწადი ასწავლონ. ესლა რამე სულობის ან წიგნის სწავლება რომ გვინდოდეს ჩვენი შვილებისთვის კეტი ვერ გვიშოვია ვის მივაბაროთ. უნდა ქალაქში წავიყვანოთ და იქ ვისმე მედუქნეს მივცეთ ათი წლობით, ოღონდ ასწავლე რამე და რაც გინდ უყავ, თუ გინდ მოკალიო. მაგრამ ის ულმერთოები

მარტო მოჯამაგირებად სმარობენ და შემდეგ ისევ გვიბრუნებენ—რა ვქნა შენმა შვილმა ვერ ისწავლა და მე როგორ გასწავლო, ქრისტე ღმერთი ხომ არ ვარო. მეორე ზოგი ჩვენი შვილი თავთხით ქუჩა-ქუჩა ხილის ტარებასა რჩებოს შინ დაბრუნებას.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ ბ. ს. ჯაფარიძესთვის, რომელიც ამ სოფელში სცხოვრობს, კიდეც უთხოვია რამდენსამე გლეხებს, რომ ჩვენი შვილები ესლავე დანიშნე, მიუღებლები არ დარჩენო.

ჩვენის მხრით ვისურვებთ ამ ერთადერთის სამეურნო სკოლის ჩვენს ქვეყანაში დამყარებულის ბედნიერ მომავალს და იმედი ვიქონიოთ, რომ პირველ წლებ შივე დაუმტკიცოს მოსწავლეთ მშობლებს და საზოგადოებას ამ გვარის სასწავლებლების სარგებლობა.

ი. ხ.—ლი.

11 მკათათვეს.

«დროების» კორესპონდენციები

—

რაჭა, 11 ივლისს. წარსულის წლის ცუდ-მოსაელიანობისაგამო რაჭველები დიდს გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩავარდენ, მაგრამ ისინი ამ გაჭირვებას და სიღარიბეს არაფრად არ აგდებდენ, რადგანაც წლევანდელი მოსავალი დიდ იმედებს აძლევდა, მაგრამ ეს მშვენიერი მოსავალი 23 მაისს და 12 ივნისს გააქრო სეტყვამ რამდენიმე სოფლებში ასრე, რომ ათის თავი თუღა ჰოვა. ამ უბედურებამ მთლად მხრები ჩამოაყრევინა და მიწასთან გაასწორა რაჭველები.

არც სხვა მხრით არის რაჭა ბედნიერი. ამ პატარა მაზრაში რამოდენი შეწუხება ადგია საწყალს გლეხებს სხვა-და-სხვა პირებისაგან და მათივე სასოფლო მოხელეებისაგან, რომ იძულებულ არიან ცეცხლი გააქრონ. სასოფლო თვით მმართველობის საქმე ერთობ ცუდად მიდის. მოხელენი ისრე მოქმედებენ, როგორც სურსთ, არავისი არ ეშინიანთ, სირცხვილი ხომ მათთვის არ გაჩენილა.

უმოსავლობამ და სიღარიბემ ზნეობითაც ერთობ დასცა ხალხი. რომ ეხლა რაჭაში ქათამს უფრო ინანებენ, მინამ კაცს. არ გავა კვირა, რომ არავინ ადამიანი მოკლან ან არ დასჭრან.

ერთი აზნაურშვილი რამდენიმე კაცით დაუხვდა ამას წინედ ს. წესსში ერთს წერეთელს, ესროლეს თოფი და მკვდარ კაცს თათრულად თავი მოსჭრეს. ეს მოხდა დღისით ხალხის თვალ წინ. ამდენ ურიგობას ადგილობრივი დაუდევნელობაც ხელს უწყობს.

მაგრამ ეხლა რაჭას რაღაც იმედები გაეღვიძა: ეს იმედები დაჰბადა სმეკალოვის ღუბერნატორად დანიშვნამ. ღმერთმა ქნას, რომ ბ. სმეკალოვმა რაჭველების იმედები გაამართლოს და რამე წამალი დაადოს, როგორიც იხმარა ბურიაში.

მაინც თუ ეხლანდელი სამაზრო პოლიციის დასი (составъ) არ დაირღვა და არ განახლდა, ჩვენი შველა არ იქნება.

ყვირილა, 11 ივლისს. ერთსულ კიდეც უნდა მიუბრუნდეთ ინჟინერი ზეზეგ-

მანის ბორბოტ-მოქმედებასა, რომელზედაც ამას წინეთ გწერდეთ.

როგორც მოგახსენეთ, ზეზემანმა გიღაცას დასმარებით, ჩაიგდო ხელში ორი რკინის ხიდის გაკეთება: გორში და ყვირილაში და ფულებიც კარგა ბლომათ ჩაილაგა ჯიბეში, ხიდების გაკეთების ვადა რახანია წავიდა და ხიდი კი არსად სჩანს. ვიჩიოლეთ, ვიდავიდარაბეთ, შეკაწუხეთ მთავარ მართებელი, მაგრამ ჯერ არაფერი არა გამოვიდა-რა. ზეზემანმა, სამასსარად, გამოგზავნა სამი მუშა კაცი ყვირილაში. ჩვენ გვქონდა ძველი ხიდი; ამ ძველ ხიდზე ქვეითა კაცი მაინც დადიოდა. ამათ ეს ძველი ხიდიც დაგვინგრიეს და დავრჩით ესლა სულ უხიდო. ერთი თვე მიდის და სრულებით არაფერი გაკეთებული არა არის-რა. მუშები ნახევარზე შიმშილით კვდებიან. როგორც შევიტყვეთ, ასე უსეიროდ მიდის გორის ხიდის კეთებაც. აქ გვატყუებენ გორის ხიდს ტოტა აკლია და იქ თურმე გორელებს ატყუებენ!.. ზეზემანი თვალით არ სჩანს და სად არის,—ღმერთმან იცის. როგორც დღეს ნამდვილად გამოჩნდა, მართლა, ზეზემანს ეს ორივე ხიდი გასაკეთებლად მიუცია ვიღაცა ლუკაშევსკისთვის. ლუკაშევსკის ხიდი დაუმზადებია როსტოვში, მაგრამ ზეზემანი თურმე ფულებს არ აძლევს, და გუშინ ბრძანება მოუვიდათ მუშებს თავი დაანებონ მუშაობას როგორც გორის ხიდზე ისე ყვირილის ხიდზე და თავიანთ სახლებში წავიდნენ. ლუკაშევსკი აწერებია, რომ ზეზემანმა ფულები არ მომცა. ყველა ხიდის ნაწილი მისაში დაკამზადე, მაგრამ ფულები არ მომცა და ამისთვის თავს კანებებო და თავი დაანებებინა მუშობას. საქმე სულ ორი სამი თვისა არის და ასე ტყუილ უბ-

---

ხნის შემდეგ წყალში იპოვნეს ქალის გვამი, რომელიც ეჭვს ჰბადავდ, რომ ესფირი წყალში უნდა დამღრჩვალიყოო, მაგრამ ექიმებმა დარწმუნებით ვერა თქვეს-რა,—ვის ეკუთვნოდა ეს გვამი და საქმე ბოლომდის საეჭვოდ დარჩა.

ამ საქმემ გამოაშკარავა ის საშინელი ზიზღი, რომელსაც ზოგიერთები ებრაელებისადმი გრძნობენ. ამ პირთ მამაშვილური გრძნობაც არ დაეზოგათ, ცამეტის წლის ბავშვი თუთიყუშად გარდაექციათ, რომ იმას თავის ჩვენებით მშობელი მამა საღრჩობელაზედ გაეგზავნა. ამას გარდა ოც-და-ხუთს ებრაელს აბრალებდენ კაცის-კვლას, როდესაც თითონ ფაქტი კაცის-მოკვლისა არ იყო დამტკიცებული და მთელი ბრალდება ჰაერის კოშკებზედ იყო აშენებული.

ბოლოს, ერთს შევნიშნავთ: ყველამ იცის, ებრაელებს როგორ მტკიცედ უჭირავთ თავიანთ სარწმუნოება; მთელის დედამიწის ზურგზედ მოიფინა ეს ერი, მაგრამ თითქმის იოტის ოდნადაც არ შეუცვლია თავის სარწმუნოების წესები. მოსეს აქეთ მტკიცედ მისდევენ თავიანთ რჯულსა და კანონს და თუ ეს საზარელი ჩვეულება მართლა ჰქონდეთ იმათ, ძველადგანვე უნდა ჰქონდეთ, ე. ი. ქრისტეს წინა-დროიდამ, როდესაც ჯერ ქრისტიანები არ იყვნენ; და თუ ქრისტეს შემდეგ შემოელოთ ეს ჩვეულება, ესე მკვიდრად ვერ გაიდგამდა იგი ფესვს, რომ დაეძლია მათში კაცობრიული გრძნობაც, შიშიც და ხელში გალესილი დანა მიეცა უმანკო მსხვერპლის დასაკლავად!

ახალი ჭეშმარიტება არ იქნება ვთქვათ, რომ როგორც ეს ცრუმორწმუნეობა ისე სხვა მრავალი ამ გვარი მოისპობა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაბალ ხალხშიაც სწავლა გავრცელდება და ყოველ მშრომელ ებრაელსაც ყველანი ისე დაუწყებენ ყურებას, როგორც საზოგადოების სასარგებლო წევრს. მაგრამ სწავლის გავრცელებას კი სკოლები და მასწავლებლები უნდა და კარგს მასწავლებლებს რიგიანი ცხოვრება. ამას წინად ჩვენს გაზეთში აღიძრა ლაპარაკი ჩვენის მასწავლებლების ცუდს მდგომარეობაზედ, მათს მცირე ჯამაგირებზედ და სამსახურის შემდეგ ულუკმა-პუროდ დარჩენაზედ. ეი შესადარებლად რამდენიმე ფაქტი, თუ გერმანიაში რა თვალით უყურებენ სოფლის მასწავლებლებს და როგორა ცდილობენ ყოველიეე შეელავათი მისცენ ამ სამძიმო მოვალეობის შესრულებისათვის.

ბავარიაში უმცროსი სოფლის მასწავლებელი უწინ იღებდა 340 მარკას—(ორი მარკა ერთს მანეთამდეა) წელიწადში, ეხლა იღებს 600 მარკას, აქვს სახელმწიფოდ სადგური, გათბობა და განათება, უფროსი მასწავლებელი იღებს ფულად 850 მარკას. ამ მასწავლებლებს ეძლევათ სოფლისაგან აგრეთვე ფქვილი, კართოფილი და სხვ... ქალაქში სულ მცირე ჯამაგირი უმცროსის მასწავლებლისა არის 1000 მარკა, უფროსისა—1600 მარკა. ამას გარდა ყოველ ხუთს წელიწადში პირველებს ემატებათ, როგორც სოფლებში, ისე ქალაქში, 50 მარკა, მეორეებს 90 მარკა. 35 წლის სამსახურის შემდეგ ყველა სახალხო სკოლის მასწავლებელს ეძლევა პენსია 800 მარკა წელიწადში. თუ ამ ვადამდის მასწავლებელი მოკედა, ცოლს შეუძლიან სიკვდილამდე იღოს წელიწადში პენსია 360 მარკა და ყოველის შვილის გასაზდელად ეძლიოს წელიწადში 60 მარკა.

როგორც ჰხედავთ, ჯამაგირში დიდი განსხვავება არა ყოფილა-რა ჩვენ მასწავლებელსა და ბავარიის მასწავლებელს შორის, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც საქმე მიდგება პენსიაზედ და ცოლშვილისათვის ზრუნვაზედ. აქ ადგილი იქნება არ იყოს, მაგრამ გული ვერ გვითმენს არ გავიმეოროთ, რომ დროა ვიფიქროთ ჩვენის დაბალ მასწავლებლების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზედ და იმათ ცოლშვილის ბედზედ.

შორი შორს სიტყვა კია, მაგრამ მინდა ჩემი ფელეტონი ერთის ანექდოტით გავათავო. ჩინელები ძალიან ცერემონიის ხალხია. ეი ამის მაგალითი, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც მოხდა. შანხაის მართველს ახალწელიწადი მიელოცნა ჩინეთის იმპერატრიცასთვის. პატარახანს უკან მოსალოცავი კონვერტი გაუხსნელი უკანვე მოსვლოდა. იმპერატრიცას არ მიეღო კონვერტი, რადგან ცოტა გასვრილი ყოფილიყო. მმართველს ბოდიში მოეხადნა იმპერატრიცასთან,—დაბეჭვდის დროს თითი დიდხანს მედო კონვერტზედ და ის დაჩნდაო. ბოდიშმაც ვერა ჰქნა-რა, მმართველი დაატუსაღეს და სამართალში მისცეს მათის დიდებულების შეურაცხებისათვის.

მეც ეს ფელეტონი სტამბაში გაგზავნის წინად ხელ-მეორედ გადავიკითხე და თუმცა საძრახისი ვერა ვიპოვნე-რა, მაინც მეშინიან, იქნება თითი დიდხანს მედო ზედ...

რალოდ აყოფინებს სასმეს. შეიძლება ერთმა კაცმა ერთი კაცი მოატყუოს, მაგრამ გინახავთ სადმე, მკითხველო, რომ ერთ კაცს მრავალი საზოგადოება მოეტყუებინოს *)? ზეზემანი ისე იქცევა, რომ ვიღაცა საზოგადოებას მოწყალებას უშვრებოდეს, რომ ხიდის გაკეთება აიღო. ამ ხიდების გასაკეთებელი თეულები თვითონ საზოგადოებისა არის, მათი ნაშოვარი და შეკრებილი სისხლის ოფლით და რა უფლებით იქცევა ასე ეს კაცი?—ნუ თუ ზეზემანს აღარც არავისი შიში აქვს, აღარც სირცხვილი?

დ. ღ.

P. S. გთხოვთ «კავკაზის» რედაქციას გადაბეჭდოს ეს სტატია თავის გაზეთში.

დ. ღ.

თიანეთი. შეტყობილი გექნებათ, რომ თიანეთში დაარსდა დამზოგველი საზოგადოება, ანუ, როგორც უწოდებენ, დეპო, რომლის მიზანიც არის ხალხი გაანთავისუფლოს მედუქნეების ბრეყალებიდამ და უფრო უკეთესი საქონელი მისცეს პირიანად. ამ კეთილი საქმის მოთავედ იყო ბ. ციკარაშვილი, ეხლანდელი დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწე. თავდაპირველად ძალიან გულმხურვალედ მოეკიდა დეპოს საქმეს როგორც თითონ ბ. ციკარაშვილი, ისე მისი სიმამრი დალაქიშვილი, მაგრამ პირველი ნაბიჯის წადგმაზედვე—რამოგახსენოთ, გამოუცდელობით, თუ სხვა რაიმე დაფარული განძრახვით,—ერთი დიდი შეცდომა მოახდინეს. შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ იმათ დეპოში დახლიდრად დააყენეს ვიღაც ერთი ბიჭი, რომელიც, როგორც ძველ დუქნებში მიჩვეული მოტყუებას და მუშტრის თვალების აბმას, ამ საზოგადო დაწესებულებაშიაც ისე იქცეოდა და თავიდამვე დაუკარგა დეპოს ხალხის თვალში ნდობა. მაგრამ იმ წლის წმინდა მოგება მაინც გვიჩვენა ბ. ციკარაშვილმა 271 მანეთი; ე. ი. თავნ თუმანზედ დეპოს წელს შეჰხვდებოდა მოგება 2 მ. და 50 კ. ეს რასაკვრელია, რომ რიგიანი სარგებელია და ყველას გაუხარდა. დეკემბერში კი, როდესაც ბ. ციკარაშვილი თიანეთიდამ დუშეთს გადიყვანეს და დეპოს გვაბარებდა, მაშინ გვითხრა, რომ 271 მანეთი კი არა ყოფილა წმინდა მოგება, 134 მანეთი იყოფოდ და მაშინ მომეტებული იმიტომ გიჩვენეთ, რომ ხალხზედ კარგი შთაბეჭდილება მინდა მამეხდინა და დეპოსთვის მეტი წევრები მეშოვნაო. ჩვენ ამიერ იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ბ. ციკარაშვილმა იკადრა ფულების დამალვა... მინც ბ. ციკარაშვილის პატიოსნებას იცნობს, ის გულმიაც არ გაივლებს ამისთანა აზრს; მაგრამ ის კი ცხადად დამტკიცდა, რომ იმას განძრახვა ექონია დეპო მიესაკუთრებინა. ეს სურვილიც ერ აღუსრულდა ბ. ციკარაშვილს და ეხლა თავის ძირის სახლეში სიძე-სიმამრი საკუთარს დუქანსა ჰხსნიან, რომელმაც ჩვენ დეპოს კონკურენცია უნდა გაუწიოს *).

*) ბეჭდავთ ამ კორესპონდენციას, მაგრამ უშენიშვნოდ გერ დავსტოვებთ, რადგანაც ბ. ციკარაშვილის პატიოსნებაში სრულიად დარწმუნებული ვართ და საზოგადოების საკუნებელს არაფერ განიძრახავს. ძალიან გონიერად მოქცეულა ბ. ციკარაშვილი, თუ დეპოს გამგეობას მოგება ნამდვილზედ მეტი უჩვენა იმ განძრახვით, რომ დეპოსთვის წევრები შეემატებინა. აქ დასაძრახისი არაფერია. რაც შეეხება დუქნის გახსნას, ჩვენ ეს ეც საეჭვოდ მიგვაჩნია. შეიძლება იმისი სიმამრი, დალაქიშვილი, ჰსსნიდეს, რომელიც ამისთანა საქმეებში დასულოვნებულია, და სიმამრის ტოდვა სიძესაც მოასვეს.

*) ძალიან სწორად!

რედ.

განცხადებანი

25% უფრო იაფად მინამ სხვაგან ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქვავი, საურველები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შჩოტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რთველისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—3)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |